ბრძანება:**ბ01. 012629913**

თარიღი:**26/10/2026**

ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.013) არსებული სკოლის რეკონსტრუქციისა (ფასადის მოწესრიგება და ბრტყელი საექსპლუატაციო სახურავის (ტერასის, ვერანდის) მოწყობა) და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01262923357-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.013) არსებული სკოლის რეკონსტრუქციისა (ფასადის მოწესრიგება და ბრტყელი საექსპლუატაციო სახურავის (ტერასის, ვერანდის) მოწყობა) და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01262923357-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) გიორგი ტყემალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01262993**
თარიღი: **26/10/2026**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01262923357-67
განცხადების თარიღი:	20/10/2026
ნომენკლატურა :	სსიპ – თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო / სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.13.06.001.013
მისამართი :	ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N 1
მესაკუთრეები :	შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა "ცისკარი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	მაია ლაგვილავა
პირადი ნომერი :	01019003988
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, რიონჰესის ქუჩა, N 11
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	მაია ლაგვილავა
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	სკოლა
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	2109.9
მოთხოვნის შინაარსი :	

მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ დაგვიდგინოთ ინდივიდუალური პარამეტრები ქ. თბილისში თ.ერისთავის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, იგეგმება არსებული სკოლის ფასადის და ბოლო სართულის რეკონსტრუქცია, წარმოდგენილი დასაბუთების ალბომის მიხედვით. მოცემული განცხადებით ვითხოვთ მხოლოდ ინდივიდუალური პარამეტრების დადგენას და საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობის შეთანხმებას. ფაილის მიმაგრების ველში წამოგიდგენთ ურბანული სამსახურის თანხმობას აღნიშნულ საკითხზე რომელიც გაიცა 2022 წელს.
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში თ.ერისთავის ქუჩაზე N 2ა-ში (ს/კ 01.13.06.001.013), სარეკონსტრუქციო შენობა 5 სართულიანი იტალიური კერძო სკოლის შენობაა. მოცემულ ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), დადგენილება 14-39-ის მიხედვით სსზ-2-ში მშნებლობისათვის საჭიროა ნაკვეთის მინიმალური ფართობი 700 კვ.მ მინიმალური სიღრმე კი 30მ. გამომდინარე იქიდან, რომ იგეგმება არსებული მე-5 სართულის ქანობიანი გადახურვის ნაცვლად ბრტყელი სახურავის მოწყობა და ფასადის მთლიანი რეკონსტრუქცია, ვითხოვთ ინდივიდუალური პარამეტრების განსაზღვრას, მიწის ნაკვეთის ფართთან და ნაკვეთის მინიმალურ სიღმესთან მიმართებაში. რაც შეეხება კოეფიციენტებს არსებულ ზონაში კ1-0.7 ხოლო კ2- 4.6 რაც სრულიად აკმაყოფილებს სარეკონსტრუქციო შენობის ფართებს. ინდივიდუალური პატამეტრების დადგენაზე თანხმობა მოცემული შენობის რეკონსტრუქციაზე მივიღეთ 2022 წელს 2 წლით, რადგან მოცემულ პერიოდში ვერ მოხერხდა პროექტის შეთანხმება და შესრულება ფინანსური შეფერხების გამო, ახლა ისევ ვითხოვთ ინდივიდუალური პარამეტრების დაგენას. რეკონსტრუქციის შედეგად შენობა შეიძენს თანამედროვე სტილის ვიზუალს გამორჩეული ფასადის დიზაინით, ხოლო წარმოქმნილი ბრტყელი გადახურვა საშუალებას მოგვცემს სკოლისთვის მოეწყოს ტერასა, რომელიც შეითავსებს ეზოს ფუნქციას, რაც აუცილებელია სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, ხოლო შიდა სამუშაოების შედეგად მივიღებთ განახლებულ ფართებს: სააქტო დარბაზის და ადმინისტრაციულ ფუნქციის სივრცეების. პროექტით გათვალისწინებული რეკონსტრუქცია საშუალებას მისცემს სკოლას გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და ასევე განახლებული თანამედროვე სტილის ფასადი დადებით ზეგავლენას მოახდენს ქალაქის იერსახეზე.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	სკოლა
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.06.001.013; ფართობი 607 კვ.მ) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/ დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. ამავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 95%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0.5 * / 0.7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0.2 / 0.3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ. მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ. ** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი*

გადაწყვეტილების დასაბუთება :	*ფუნქცია აღემატება 25 %-ს.* მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება როგორც გეგმარებითი კარკასი (გკ), ასევე ცენტრალური და შუალედური ზონა. საპროექტო ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით განთავსებულია სკოლის შენობა (მშენებლობის ნებართვა N6/1837-1 (04.08.2010). ექსპლუატაციაში მიღების აქტი N0-12/32157-16 (24/06/2011). საპროექტო წინადადება ითვალისწინებს შენობის რეკონსტრუქციას, ფასადის მოწესრიგებას და არსებული ქანობებიანი გადახურვის ნაცვლად ბრტყელი სახურავის მოწყობას (მოეწყობა ტერასა და ვერანდა). რეკონსტრუქცია ხორციელდება ზონისთვის დადგენილი პარამეტრების დაცვით. ვინაიდან მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს ფართობისა და სიღრმის ნაწილში, საკითხი განიხილება ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭების კუთხით. საკვლევი არეალი ურბანული ქსოვილის თვალსაზრისით წარმოადგენს ინტენსიურ ინდუსტრიულ-კომერციულ და სატრანსპორტო კვანძს, რომელიც მოქცეულია მრავალზოლიან საავტომობილო მაგისტრალსა და რკინიგზის სალიანდაგო ზოლს შორის, სადაც დომინირებს მსხვილგაბარიტიანი სასაწყობო, საწარმოო და სამეურნეო ტიპის ნაგებობები (ასფალტირებული/ბეტონირებული ეზოებითა და ავტოსადგომებით). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებიან განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს წინა მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, წარმოადგენენ განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო უძრავ ობიექტებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, რომელიც გაიცემა ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის მ-7 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სკოლა საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) წარმოადგენს საგამონაკლისო წესით დასავებ სახეობას და საჭიროებს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემას. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. წარმოდგენილი საპროექტო არეალი ყვება საქართველოს მთავრობის 3/11/2024 წლის N317 დადგენილებით განსაზღვრულ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მფლობელობაში არსებული ობიექტიდან 100 ან 300 მეტრამდე რადიუსში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წინააღმდეგი, 2026 წლის 24 სექტემბრის NMIA 8 26 03438133 წერილით, არ არის წინააღმდეგი სკოლის რეკონსტრუქციის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემასთან დაკავშირებით.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისთვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი.

	წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განახლებასა და თანამედროვე სტანდარტების სასწავლო სივრცის შექმნას. ტერიტორიაზე დადგენილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების სრული დაცვით, არსებული სკოლის შენობის რეკონსტრუქცია — ფასადის მოდერნიზაციისა და სახურავის ღია საექსპლუატაციო სივრცედ (ტერასა, ვერანდა) გადაკეთების გზით — წარმოადგენს მიმდებარე არეალის განვითარების ოპტიმალურ მოდელს, რაც აამაღლებს მაგისტრალის გასწვრივ არსებული ურბანული ქსოვილის ვიზუალურ ხარისხს და გააუმჯობესებს გარემო განაშენიანების არქიტექტურულ ერთგვაროვნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.06.001.013 ფართობი: 607 კვ.მ) სკოლის რეკონსტრუქციისა (ფასადის მოწესრიგება და არსებული ქანობიანი გადახურვის ნაცვლად ბრტყელი სახურავის მოწყობა (ტერასა და ვერანდა)) და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებად მიაჩნია.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

სააგენტოს უფროსი

თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

Номер: 0405/172/22

Дата: 05/04/2022

მოქ. მაია ლაგვილავას

30.03.2022 #0330/011/22 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.13.06.001.013) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს. შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)


გეგმა მასშტაბი 1:150
თ.ერისთავის ქუჩა
მიწისქვეშა 6-10 კვ. საკაბელო ხაზი
ს/კ 01.00.708
01.00.708
ს/კ 01.13.06.001.013
არსებული შენობა
წარმოდგენილი პროექტი შესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს
შეთანხმების თარიღი 4.04.23
შეთანხმებულია
A•GROUP
შ.პ.ს "არქიტექტურული ჯგუფი"
L.T.D "ARCHITECTURAL GROUP"
პროექტის სახელწოდება
იტალიური სკოლის რეკონსტრუქციის პროექტი
დირექტორი
არქიტექტორი
შ.პ.ს "არქიტექტურული ჯგუფი" ქ. თბილისი, აკოლიტკოვსკაიას №3. http://archgroup.ge/ https://www.facebook.com/a.groupar

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-24799-22
12 / 04 / 2022

შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის
იტალიური სკოლა „ცისკარი“-ს დირექტორს
ქალბატონ მაია ლაგვილავას

ქალბატონო მაია,

თქვენი მიმდინარე წლის 29 მარტის №02-13-24799-22 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.06.001.013) გადის თქვენი ობიექტის მკვებავი შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი საჰაერო D=100 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენი.

მიწის ნაკვეთზე ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, მილსადენთან მიმართებაში საჭიროა დაცული იყოს საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესები და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის დადგენილება №101 (გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე). კერძოდ, სამუშაოების წარმოებისას არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი მომსახურების შესაძლებლობა.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

361349 / 02-13-24799-22 / 2022-03-29

გენგეგმა მასშტაბი 1:150

შეთანხმებულია — შპს თბილისი ენერჯი TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 02-13-24799-22
11, 04 2022 წ.



A·GROUP შ.პ.ს "არქიტექტურული ჯგუფი" L.T.D "ARCHITECTURAL GROUP"	პროექტის სახელწოდება: იტალიური სკოლის რეკონსტრუქციის პროექტი	დირექტორი	ქ. თევდორაძე	[signature]
		არქიტექტორი	ბ. რევაზიშვილი	[signature]

შ.პ.ს "არქიტექტურული ჯგუფი" ქ. თბილისი, აპოლიტკოვსკაიას №3. http://archgroup.ge/ https://www.facebook.com/a.grouparch/